

დასჯა, დაჯილდოვება და მიტოვება:

პოლიტიკური სტრატეგიები არჩევნების
დროს მარნეულსა და ბოლნისში

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

ავტორი: მარიამ შალვაშვილი, ქამრან მამედლი

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06 www.emc.org.ge info@emc.org.ge

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS>

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში არსებითად დამაბულ გარემოში ჩატარდა. საარჩევნო პროცესები განსაკუთრებული სიმწვავეთ და დამაბულობით ხასიათდებოდა ქვემო ქართლის რეგიონში. წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს მომხდარი ინციდენტების შედეგად, ბოლნისის და მარნეულის მუნიციპალიტეტები ეროვნული მედიების ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოექცა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) არჩევნების მონიტორინგის და შეფასების საკითხებზე არ მუშაობს. თუმცა, ჩვენ დიდი ხანია აქტიურად ვმუშაობთ არადომინანტური ჯგუფების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის საკითხებზე. შესაბამისად, აღნიშნული სტატია ადგილობრივ მოსახლეობასთან, დამკვირვებლებთან, აქტივისტებთან, კოორდინატორებთან, პოლიტიკოსებთან და ადგილზე მომუშავე EMC-ის თანამშრომელთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შეიქნა. სტატიის მიზანია, (1) წარმოაჩინოს პოლიტიკის და არჩევნების ბუნება ბოლნისსა და მარნეულში; (2) აღწეროს ის სტრატეგიები და მეთოდები, რაც საარჩევნო პროცესებში ძირითადი პოლიტიკური აქტორების მიერ გამოიყენებოდა; (3) აჩვენოს ის, თუ როგორ მუშაობს კოორდინატორების სისტემა ქვემო ქართლში; და (4) დაგვანახოს, თუ რა სოციალურ და კულტურულ კვალს ტოვებს არჩევნები მოსახლეობაში. ჩვენი რწმენით, მიკრო სოციალურ დონეზე უკეთ ჩანს ძალაუფლებრივი სისტემების მუშაობა და ეფექტები. სწორედ ამიტომ მცირე საზოგადოებების მაგალითზე პოლიტიკური აქტორების სტრატეგიების, მათ მიერ გამოყენებული პოლიტიკური რაციონალობისა და მორალის სისტემების ანალიზი, მათ საერთო სახეს კარგად აშიშვლებს და საზოგადოებრივ გავლენებსაც უკეთესაც წარმოაჩენს.

პოლიტიკური კონტექსტი ბოლნისსა და მარნეულში

რესპონდენტების აზრით, ბოლნისის და მარნეულის მუნიციპალიტეტების პოლიტიკური და საარჩევნო ცხოვრება არსებითად არჩევნების დღით შემოიფარგლება. დემოკრატიული ჩართულობა, მონაწილეობა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხმის უფლების ქონა მხოლოდ არჩევნების დღესაა შესაძლებელი. მათ შორის, პარტიული აქტივისტებიც კი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური მონაწილეობა მხოლოდ არჩევნების დღესაა შესაძლებელი.

თუმცა ბევრი აქტივისტი არჩევნების მიმართაც უნდობლობით გამოირჩევა და ამ პროცესების დემოკრატიულად წარმართვის საკითხსაც ეჭვის თვალთ უყურებს. ზოგიერთი მათგანის აზრით, ადამიანებს არჩევანი ხშირად არჩევნებზეც კი არ აქვთ. ხშირია საუბარი მოსახლეობის იმედაცრუებულ ყოფაზე, მათ შორის, არჩევნების მიმართ: „ეს პროცესები დემოკრატიული რომ არ არის, ხალხი პოლიტიკისგან შორის იჭერს თავს, ძლიერია იმედაცრუება. ხალხს დაკარგული აქვს ნდობა,“ ამბობს ადგილობრივი აქტივისტი. ამასთანავე, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ უმცირესობების მხრიდან ინტეგრაციის და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის სურვილიც არსებობს: „ბევრი მათგანი ქართულ სკოლებში დადის და სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები ერთად იზრდებიან.“ სამოქალაქო აქტივისტები აღნიშნავენ, რომ ბოლნისშიც და მარნეულშიც მოქალაქეები პოლიტიკური პროცესების მიმართ აშკარა ინტერესს გამოხატავენ: „ხალხი დაინტერესებულია და უნდათ, რომ იცოდნენ რა ხდება ქვეყანაში, მაგრამ არჩევნების გარდა მათი მონაწილეობის სხვა მექანიზმი არ არსებობს.“ დასახლებების და სოფლების კრებები, რომლებიც სოფლის მაცხოვრებლების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას უნდა უზრუნველყოფდეს ხშირ შემთხვევაში მოჩვენებითი [დემოკრატიის ნიშნებს ატარებს](#) და მისი მიზანი მოსახლეობის ჩართულობა არ არის. სხვადასხვა მიზეზის გამო ადამიანები ვერც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენის დროის [იღებენ განხილვებში მონაწილეობას](#).

ადგილობრივების აღქმით, ბოლნისი და მარნეული ერთმანეთისგან პოლიტიკურად ნაწილობრივ განსხვავდება. მარნეული პოლიტიკის ცენტრად აღიქმება და რესპონდენტები მარნეულში ორი ძალის, სახელისუფლებო პარტიის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა მესამე და მეოთხე პოლიტიკურ სუბიექტებსაც ხედავენ, რომლებიც შედარებით სუსტად, თუმცა მაინც არსებობენ. რესპონდენტები მეტ პოლიტიკურ აქტიურობას მარნეულის მუნიციპალიტეტში ხედავენ. ამ განცდას

შეიძლება იწვევდეს ისიც, რომ მერის არჩევნები მარნეულში შარშან ჩატარდა, იმის წინ კი საპრეზიდენტო არჩევნები იყო, ამიტომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე პარტიებს მარნეულში მოსახლეობასთან ხშირი კონტაქტი უწევდათ. რესპონდენტების აზრით, მარნეული უმცირესობებისთვის პოლიტიკური ცენტრია და უფრო მეტი პროცესი ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისითაც მარნეულში მიმდინარეობს, თუმცა, პარტიების მხრიდან მუდმივი კომუნიკაციის პრობლემა აქაც აშკარაა.

ბოლნისში პოლიტიკური ველი ძირითადად ორი პარტიის დაპირისპირებით შემოიფარგლება და წინასაარჩევნო პერიოდშიც კი სხვა პარტიების ნახვა რეგიონში რთულია. ამასთან, ბოლნისში, რესპონდენტების დაკვირვებით, პოლიტიკური აქტივობა უფრო დაბალია. სამოქალაქო აქტივისტები დემოკრატიულ პროცესებში მოსახლეობის მონაწილეობის სისუსტეზე საუბრობენ: „ბოლნისში სამოქალაქო აქტივიზმი დაბალ დონეზეა. ამის მიზეზი არის ის რომ ბოლნისში მედიები და არასამთავრობო სექტორი აქტიურად არ მუშაობს. ხოლო პარტიებს მუდმივმოქმედი ოფისები არ აქვთ.“ ამას გარდა, ბოლნისში ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ბოლო წელიწადნახევარია თავმჯდომარე არ ჰყავს მას შემდეგ, რაც რეგიონულმა თავმჯდომარემ პარტია დატოვა. პარტიას წელიწადზე მეტი არ ჰყავდა ადამიანი, რომელიც ადგილზე ადამიანებთან კომუნიკაციას დაამყარებდა და ოპოზიციურ საქმიანობას გასწევდა.

რესპონდენტები აცხადებენ, რომ ბოლნისის სოფლებსა და ქალაქს შორის ხიდჩატეხილობა განსაკუთრებით თვალშისაცემია. „ბოლნისში სოფლებსა და ქალაქს შორის არსებობს ხიდჩატეხილობა. ქალაქ ბოლნისში აზერბაიჯანელები საერთოდ არ არიან. ბოლნისში არაოფიციალურად ისეთი სიტუაციაა, რომ აზერბაიჯანელი ქალაქში სახლს ვერ იყიდის. ჩვენ [ეთნიკურად აზერბაიჯანელები] ვხუმრობთ, რომ ბოლნისში სანამ ჩაიხანა არ გაიხსნება, მანამდე ბოლნისის მუნიციპალიტეტები ვერ განვითარდება. სინამდვილეში არ გვაქვს ადგილი, სადაც ბოლნისელები ერთ ადგილას შევიკრიბებით და ვისმჯელებთ ესა თუ ის პრობლემა რატომ არსებობს. ის კი არა, სხვა სოფლებში რა ხდება ხშირად ამაზეც არ და ვერ გვაქვს ინფორმაცია,“ ამბობს ადგილობრივი აქტივისტი. ადგილობრივების აზრით, მარნეულში უფრო არსებობს ცოდნა სხვადასხვა სოფლის პრობლემების და საკითხების შესახებ და მეტია სოფლებსა და ქალაქს შორის კავშირი.

აქტივისტები მარნეულსა და ბოლნისში მკვეთრად პოლარიზებულ ყოფაზე საუბრობენ: „ზოგადად ეს არ არის პოლიტიკური პროცესი, ეს კრიმინალური პროცესებია. არის ორი მხარე, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან არა პოლიტიკურად, არამედ კრიმინალური წესებით. ჩვენ ვიცით, რომ პოლიტიკოსები იდეებზე უნდა დაობდნენ, მაგრამ ჩვენთან ასეთი პროცესები არ არის. ორივე მხარეს ჰყავს მხარდამჭერები, რომლებიც ფიზიკურად უპირისპირდებიან ერთმანეთს და ასეთი დაპირისპირებებით აპირებენ გავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე. ასე უნდათ მიიღონ საზოგადოების ხმები.“ სხვა ადგილობრივის აზრით, „ჩხუბი იმიტომ ხდება, რომ თანხებს იღებენ კანდიდატებისგან და შესაბამისად უნდათ მისმა კანდიდატმა მოიგოს, რომ უფრო მეტი ფული აიღოს.“

დამაბული და პოლარიზებული გარემოს გარდა აქტივისტები საუბრობენ ყოველდღიურობაში კრიმინალური ავტორიტეტების გავლენებზეც. მათი თქმით, ავტორიტეტებს გავლენა აქვთ არა მხოლოდ ხალხში, არამედ პოლიციასთან და პოლიტიკოსებთან. „არჩევნების დროს ისინი ეხმარებიან კანდიდატებს და თუ ხვალ რამე პრობლემა იქნება, პოლიციისთვის ის არ იქნება მხოლოდ კრიმინალი, მას ოცნებასთან აქვს გავლენა. მაგალითისათვის, მე ვიცი, რომ ადამიანს მანქანაში აქვს იარაღი და პოლიცია ვერაფერს ვერ აკეთებს. არ აკეთებს კი არა ვერ აკეთებს,“ ამბობს ბოლნისელი აქტივისტი.

რესპონდენტების აზრით, ხელისუფლების და ოპოზიციის საარჩევნო სტრატეგიები და მეთოდები რეგიონში არსებითად დემოკრატიული და მოსახლეობაზე ორიენტირებული არ ყოფილა. სამოქალაქო აქტივისტის თქმით, „ჩემს თვალში არც მმართველი პარტიის წარმომადგენელი და არც ოპოზიციის კარდიდატი არ იყვნენ ნამდვილი პოლიტიკოსები. მე არც ერთს მხარს არ ვუჭერ, რადგანაც ისინი ძირითადად ერთმანეთისთვის რადაცეების დაბრალებით იყვნენ დაკავებულნი და არა არსებითი

საკითხების განხილვით. ჩემი აზრით, ისინი [პოლიტიკოსები] არიან ადამიანები, რომლებსაც საკუთარი მიზნები აქვთ ბიზნესებთან დაკავშირებით და ამის გამო არიან პოლიტიკაში.“

ხელისუფლების სტრატეგიები

ინფრასტრუქტურული პროექტები

წინასაარჩევნოდ ხელისუფლების მხარესაა სოფლებში საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების ძალაუფლება, რომელიც ხშირად გამოიყენება მმართველი პარტიის მიერ საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში. მაგალითად, მარნეულში თებერვალში გამართულ სოფლის კრებებზე, რაც სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების გადაწყვეტას ეძღვნებოდა და რომელსაც EMC-ის თანამშრომლებიც აკვირდებოდნენ, ადგილობრივი მერი და მაჟორიტარი იმას კი არ ამბობდნენ, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები კეთდებოდა მთავრობის მიერ საქართველოს მაცხოვრებლებისთვის საქართველოს მოქალაქეების ფულით, არამედ ხაზი ესმებოდა ამ პროცესებში ქართული ოცნების როლს. შესაბამისად, იქნებოდა შთაბეჭდილება თითქოს პროექტების დამფინანსებელი და ინიციატორი მმართველი პარტია იყო. ზოგადად, ადგილობრივების დაკვირვებით, წინასაარჩევნო პერიოდში მუნიციპალურ პროექტებს პიარისთვის ხშირად იყენებს მმართველი პარტია და მაჟორიტარობის კანდიდატი არა მხოლოდ ცენტრალური და მუნიციპალური პროექტების განხორციელებას, არამედ უცხოური პროექტების განხორციელებასაც საკუთარ თავს აწერს. მარნეულში შესამჩნევი იყო, რომ მაჟორიტარობის კანდიდატები ადამიანებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს პირდებოდნენ და იმედს ამლევდნენ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მათი კომპეტენცია ვერ იქნებოდა პარლამენტში და თავადაც იცოდნენ, რომ ამ დაპირებებს ვერ შეასრულებდნენ. ეს ეხებოდა როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციური პარტიების მაჟორიტარობის კანდიდატებს.

ადგილობრივების დაკვირვებით, წინასაარჩევნო პერიოდი დაპირებების პერიოდია, ამ დროს აქტიურდებიან სოფლის რწმუნებულები და თუ იქამდე ჩუმად იყვნენ, წინასაარჩევნოდ იწყებენ საუბარს სოფლის პრობლემებზე. ოპოზიციური პარტიის კოორდინატორი აცხადებს, „მმართველი პარტიის წარმომადგენელი არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მოდის სოფელში და მხოლოდ მაშინ ხედავს პრობლემას. თუმცა, ეს მმართველი პარტიის შეცდომაა. არჩევნებამდე მოდიან და ხალხს ეუბნებიან, რომ მოაგვარებენ პრობლემას, არადა 4 წელია თანამდებობაზე და ხელისუფლებაში არიან.“ EMC-ის დაკვირვებით, ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხის დიდი ნაწილი სპეციალურად იზოგება არასაარჩევნო პერიოდში, რისი ხარჯვაც არჩევნების წინა პერიოდში იწყება. ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტიც სწორედ წინასაარჩევნოდ კეთდება.

რესპონდენტების დაკვირვებით, წინასაარჩევნოდ შესამჩნევია აგრესიული ახალგაზრდა აგიტატორების სიმრავლე. „სოფლებში წინასაარჩევნო პერიოდში დამოუკიდებელი, ნეიტრალური პირის ჩასვლის დროს აშკარაა, რომ მცირე აგრესიული ჯგუფები იწყებენ პრობლემის გადაბრალებას ნეიტრალური პირებისადმი. რადგან მოსახლეობამ შეიძლება ვერც გაარჩიოს რა უწყებიდან ჩადის მათთან ესა თუ ის პირი, აგრესიული მცირე ჯგუფები ბრალს გადაიტანენ ჩასულ პირზე, რომელიც შეიძლება არცერთ პარტიას არ წარმოადგენდეს, ამიტომ წინასაარჩევნო პერიოდში ნებისმიერი საქმიანობის გაწევა და პრობლემების ამოტანა მოსახლეობიდან ძალიან რთულდება,“ ამბობს EMC-ს თანამშრომელი.

ადგილობრივი რესურსების გამოყენება

ადგილობრივი აქტივისტები, ჟურნალისტები და პოლიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებას ადგილზე საკმაოდ დიდი რესურსი გააჩნია. რესპონდენტების მიხედვით, საარჩევნო პროცესში მობილიზებული იყვნენ მერიის თანამშრომლები, სკოლის მასწავლებლები, აქტიური ადამიანები და ის ადამიანებიც, რომლებსაც „ძალა ერჩის“. ადგილობრივების აზრით, აშკარა იყო პანდემიის უგულვებელყოფა არჩევნების პერიოდში. მათი აზრით, ამ უგულვებელყოფით გამოიკვეთა,

რომ დაინტერესებულ მხარეებს საკუთარი ინტერესები ადარდებდათ და ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული ადამიანების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვით.

მერიის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულები წინასაარჩევნო პროცესებში. მარნეულზე დაკვირვებები აჩვენებდა, რომ ამის გამო მოსახლეობას წინასაარჩევნო პერიოდში ზოგ მუნიციპალურ სერვისზე წვდომა შეზღუდული ჰქონდა. მერიაში დასაქმებული თანამშრომლების დიდი ნაწილი სხვა მოვალეობას ასრულებდა და ადამიანები მერიის სამსახურის დახმარების გარეშე რჩებოდნენ. შედეგად, მოსახლეობას, ისედაც შეზღუდული რესურსების პირობებში, კიდევ უფრო შეეზღუდათ მერიასთან ხმის მიწვდენისა და დახმარების მიღების საშუალება.

ადგილობრივები ამბობენ, რომ არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მუნიციპალურ სამსახურებში დასაქმებული ადამიანების მოვალეობად იქცა, რომელიც ოფიციალურად სამსახურის აღწერაში შეიძლება არ წერია, მაგრამ არაოფიციალურად ამ ადამიანებს მმართველი პარტიისთვის ხმების მოსაზიდად დიდი სამუშაოს გაწევა უწევთ. აქტივისტების მიხედვით, ეს არის დეჰუმანიზების პროცესი, სადაც ადამიანური სახეები გადასულია მეორე პლანზე და თითოეული მოქალაქე „უბრალო ხმადაა გადაქცეული.“ „ვფიქრობ, არც ამ ადამიანებს და არც პარტიის კოორდინატორებს არ ჰგონიათ, რომ ამ პროცესებით მათი დეჰუმანიზება ხდება ... მუნიციპალიტეტში მომუშავე ხელისუფლების ზოგ მხარდამჭერს აშკარა შიში აქვს, რომ ამ პროცესებში თუ არ ჩაერთვებიან ისინი ყველაფერს დაკარგავენ, ან ჰგონიათ, რომ რადგან იქ მუშაობენ აუცილებლად საარჩევნო პროცესებში უნდა ჩაერთონ. ზოგი კი ამას მეტი ძალაუფლებისთვის აკეთებს,“ ამბობს ადგილობრივი ჟურნალისტი.

ერთ-ერთი რესპონდენტის დაკვირვებით: „ადამიანებს თავიდანვე არ აძლევენ არჩევანის საშუალებას. მათ მხოლოდ საკუთარ თავს სთავაზობენ, ამის მიღმა არჩევანი ადამიანებს არ აქვთ. სისტემა იმგვარად მოწყობილი, რომ ამ ადამიანებს სთავაზობს მხოლოდ ერთი პარტიის ერთ კანდიდატს, რომელიც არჩევნების დღეს უნდა შემოხაზონ. ვგულისხმობ იმას, რომ რეალურად მოსახლეობა ინფორმაციულ ვაკუუმშია. წინასაარჩევნოდ მმართველი პარტია გაამლიერებს აგიტატორების, კოორდინატორების, მასწავლებლების რესურსს. მოსახლეობა ამ პერიოდში ან მხოლოდ ფუჭ დაპირებებს მიიღებს, რომლებიც ძირითადად ჰაერიდანაა მოტანილი, ან მაგასაც ვერ მიიღებს და უბრალოდ ცნობებდა მიეწოდება ინფორმაცია, რომ ყველაზე ძლიერი პარტია ესაა და მხარს თუ არ დავუჭერთ მომდევნო ოთხი წელი სოფლისთვის და კონკრეტული პირებისთვის მაინც და მაინც სახარბიელო არ იქნება. სოფლებში ადამიანები წინასაარჩევნოდ გაბრაზებულები არიან და ამ გაბრაზებას ძალიან მკაფიოდ აფიქსირებენ, უბრალოდ არ იციან როგორ მოახდინონ ამ ბრაზის სწორად მიმართვა. არ იციან ვის შესჩივლონ, ვის ენდონ, როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები და სრულად აქვთ იმედი გადაწურული. ისინი გრძნობენ, რომ მათ ყოველი არჩევნების წინ იყენებენ, მაგრამ არ იციან რა გააკეთონ იმისთვის, რომ ასე არ მოხდეს ... არავინ მისცა ადამიანებს საშუალება გააკეთონ საკუთარი არჩევანი და მნიშვნელოვანი მხოლოდ ისაა მუნიციპალიტეტებს და პარტიებს რა გეგმები აქვს.“

სამოქალაქო აქტივისტები სახელისუფლებო პარტიის მიერ სოკარის და აზერბაიჯანის რესურსების გამოყენებას კრიტიკულად აფასებენ: „წელს სოკარის დირექტორი (როვნაგ აბდულაევი) ჩამოვიდა სოფელ ტალავერში. ერთ ერთმა აქტივისტმა ამ სოფლიდან მითხრა, რომ მხოლოდ ერთ დღეში 400 ათასი ლარი დარიგდა. ამ სოფელში ყოველთვის მთავრობა აგებდა, მაგრამ ახლა ამ არჩევნებში ეს სოფელი მოიგეს. თქვენ იცით ალბათ შარშან როვნაგ აბდულაევი გამოიყენეს მარნეულში. მაგრამ ახლა, ის ბოლნისშიც გამოიყენეს“.

ჩრდილოვანი სისტემები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ჩრდილოვანი სისტემებიც, რომლებიც ჩართულები არიან წინასაარჩევნო პროცესებში. ერთ-ერთი ასეთი სისტემა ადგილობრივების აზრით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურია. „სუს-ს შეიძლება ვერ ხედავდე, მაგრამ მუდმივად გრძნობ. მე პირადად სუს-ს ყველანაირი ტექნიკიდან და „შტეფსელებიდანაც“ კი ვგრძნობ,“ ამბობს ერთ-ერთი აქტივისტი ბოლნისიდან. მარნეულის მკვიდრი ფიქრობს, რომ სუს-ის მოხელეთება რთულია: „სუსი უფრო

ფარულად მუშაობს და მას იშვიათად ხედავ უშუალოდ. არჩევნების დღესაც დადიოდნენ უბნებზე, თუმცა ასე უშუალოდ არ ჩანდნენ. პრობლემა თუ ჩნდებოდა რომელიმე უბანზე, სუსი იმ უბნიდან ქრებოდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში ერთვებოდა-ხოლმე, თუ სხვა გზა აღარ იყო. ზოგადად, მარნეულში სუს აქტიურად მუშაობს ნებისმიერ საკითხზე და არც არჩევნებია გამონაკლისი. თუმცა მათი ცხადად დანახვა ძალიან რთულია,“ ამბობს იგი.

სახელისუფლებო პარტიის კიდევ ერთ სტრატეგიად იკვეთება ამომრჩევლების დაშინება, მათ შორის კრიმინალური ავტორიტეტების გამოყენებით. „თუ ადამიანს ვერ დააშინებენ, აძლევენ ფულს, მაგრამ თუ ადამიანი სუსტია, მაშინ აშინებენ, ან თუ ადამიანს აქვს მცირე ბიზნესი, მაშინ აშინებენ პოლიციით,“ ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი.

აქტივისტები, რომლებიც საარჩევნო პროცესებში ბოლო წლებში რამენაირად მონაწილეობდნენ, მათ შორის ნეიტრალურ დამკვირვებლებად, იხსენებენ ზეწოლის შემთხვევებსაც. ბოლნისიდან ერთ-ერთი აქტივისტი ყვება: „პირველად დამკვირვებელი რომ ვიყავი, მაშინვე ზეწოლა იყო ჩემზე. ქართული ვიცოდი, კანონები ვიცოდი, ამას რომ მიხვდნენ ჩემი ვინაობა გაარკვიეს და ჩემი ახლობლების, ნაცნობების გამოყენება დაიწყეს. ახლობლები მირეკავდნენ, რად გინდა მანდ რომ ხარ, წამოდიო. ეს დიდ ხანს გრძელდებოდა. რომ არ გავჩერდი არჩევნების შემდეგ სხვა მხრივაც იყო ზეწოლა და მუქარაც.“ ზეწოლის, კონტროლის და მუქარის შემთხვევებს მათ მიმართ სხვა აქტივისტებიც იხსენებენ. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ ეს ტაქტიკა ახალი არ არის და წინა ხელისუფლება სხვადასხვა ავტორიტეტს თავისი მმართველობის პროცესში ასევე აქტიურად, თუმცა უფრო შეფარულად იყენებდა. ქართული ოცნების მმართველობის პროცესში ეს სისტემა კიდევ უფრო დიდი საყრდენი გახდა, თუმცა რეგიონში ეს მეთოდი დიდი ხანია გამოიყენება.

აქტივისტები საუბრობენ იმაზეც, რომ ხელისუფლების დაპირებები მხოლოდ სოფლის ან თემის საერთო პრობლემების დაპირებებს კი არ ეხება, არამედ ადამიანებს ინდივიდუალურად პირდებიან სხვადასხვა პრობლემის მოგვარებას. „სულ მცირე, სოციალური დახმარების მოხსნითაც კი ემუქრებიან თუ ამის საჭიროება დადგა. ან პირიქით, ადამიანებს სოციალური დახმარების დანიშვნას პირდებიან ... ჯარიმის გაუქმებას პირდებიან, ეს ყველაზე მინიმუმია. კიდევ უფრო სერიოზულ რამეებზე საუბარი არ მინდა,“ ამბობს ბოლნისელი აქტივისტი.

არჩევნების დღე

არჩევნების დღეს მარნეულში შესამჩნევი იყო უბნებთან მდგარი ჯგუფები. რესპონდენტების აზრით, ესენი შეიძლება ყოფილიყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ამომრჩევლებს ითვლიდნენ. ეს განსაკუთრებით სოფლებში ხდება, რადგან მათ კარგად იციან ადამიანების ვინაობა და მათი შეხედულებები. თუმცა ბევრი ჯგუფის უბნებთან ყოფნის მიზეზი შორიდან დამკვირვებლებისთვის ბოლომდე გასაგები არ იყო. ბოლნისშიც და მარნეულშიც იგრძნობოდა დიდი დაძაბულობა და დაპირისპირებები: „ასეთი განცდა გამიჩნდა, რომ ამ ადამიანების დეკუმანიზება, ადამიანობის გამოცლა მოხდა და მხოლოდ შესასრულებელი მისია დარჩა მათგან. შესასრულებელმა ინტერესებმა სხვა ყველაფერს გადაუსვა ხაზი: მეზობლობას, მეგობრობას. 20 წლის მერე ეს პარტიები შეიძლება აღარც არსებობდნენ, მაგრამ ჩვენ ადამიანები ხომ ვრჩებით. ამაზე არჩევნების წინა პერიოდში და არჩევნების დღეს არავინ ფიქრობდა,“ ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი. „აქცენტი იყო მხოლოდ ერთ დღეზე. ერთადერთი მიზანი არჩევნების მოგება იყო და არავინ ფიქრობდა რომ ხვალ და ზეგ იმ სოციალურში ერთად მოუწევთ ცხოვრება. მაგალითად, ერთ სოფელში ამ დღეებში მოხდა პარტიული განსხვავებების გამო ფიზიკური დაპირისპირება. ოპოზიციურად განწყობილ ოჯახს დაუპირისპირდნენ. ეს სუფთად პარტიული ნიშნით დაპირისპირებაა, ეს პარტიები იდეოლოგიით ერთმანეთისგან მკვეთრად არც კი განსხვავდებიან.“ ამბობს ადგილობრივი ჟურნალისტი.

რესპონდენტების დაკვირვებით თვალშისაცემი იყო უბნებზე პარტიული კომისიის წევრების სიმრავლეც, რომელთა უმეტესობაც ქართულ ოცნებას წარმოადგენდნენ ან ამ პარტიის წევრების ნათესავები იყვნენ. ერთ-ერთმა ინფორმანტმა აღნიშნა, რომ ბევრი მათგანი უკვე გამოცდილი

დამკვირვებელია და წლებია ერთსა და იმავე როლს ასრულებს, რომელიც, წესით, ფარული კენჭისყრით უნდა განაწილდეს. შესაბამისად, მან ეჭვის ქვეშ დააყენა ამ პროცედურის ობიექტურობა. ამასთან, ადგილობრივების დაკვირვებით შედარებით მოუზმადებელ უბნებში დამკვირვებლებად წარდგენილები იყვნენ მერიის თანამშრომლები. ერთ-ერთი ადამიანი, რომელსაც მარნეულში სხვადასხვა უბანზე შესვლის და დაკვირვების საშუალება ჰქონდა, იხსენებს, რომ ერთ-ერთ ასეთ უბანზე კომისიის წევრები გაურკვევლობების დროს, კომისიის თავმჯდომარის მაგივრად, კითხვებს მარნეულის მერიის თანამშრომელს უსვამდნენ, რომელიც წესით მხოლოდ დამკვირვებელი უნდა ყოფილიყო.

ოპოზიციურ აზრთან გამკლავების მეთოდები

საინტერესოა აქტივისტების სიღრმისეული დაკვირვებები ხელისუფლების მუშაობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი აქტივისტი აღნიშნავს, რომ ოპოზიციურად განწყობილ სოფლებში ხელისუფლებამ ხმების მიმხრობის მიზნით პრობლემები უფრო მოაგვარა: „მაგალითად ჩემს სოფელში ყოველთვის ოცნება იგებდა და შესაბამისად არაფერი კეთდება ჩემს სოფელში. მე ახლა 2 საათია აუტოსტოპით მოვდივარ, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ გვაქვს.“ ხოლო სხვები აღნიშნავენ, რომ ოპოზიციურად განწყობილ სოფლებს ხშირად სჯიან ოპოზიციის გამარჯვების გამო. „არის რისკი, რომ თუ ოპოზიციამ გაიმარჯვა, შეიძლება შემდეგი წლები სოფელი რესურსების გარეშე დარჩეს. ზუსტად ამის გამო ნამდვილად არსებობს საკუთარ პრობლემებზე საუბრის შიში. ადამიანებს ეშინიათ, რომ პრობლემებზე საუბარმა მომავალში მათ ცხოვრებას საფრთხე არ შეუქმნას და სიმშვიდე არ დაურღვიოს, ამიტომ ხშირად ისინი არც კი ამბობენ სოფელში რა პრობლემები აქვთ,“ ამბობს ერთ-ერთი ინფორმანტი. შესაძლოა ინფორმანტების აღქმაში განსხვავებებს ის იწვევდეს, რომ სოფლებში, ზოგადად, ცოტა რამ კეთდება, შესაბამისად, ადამიანებს მუდმივად აქვთ განცდა, რომ თავიანთ სოფელში ადეკვატურ სერვისებს ვერ იღებენ. ამასთან სავარაუდოა, რომ ხელისუფლების ტაქტიკა წლიდან წლამდე იცვლება და თუ დასჯას შედეგი არ მოაქვს, ისინი მომდევნო არჩევნებისთვის დაჯილდოების მეთოდს იყენებდნენ.

ოპოზიციის სტრატეგიები

გაუჩინარებული ოპოზიცია

მარნეულში ოპოზიცია შეხვედრებს ხშირად ჩუმად ატარებდა და ადამიანების ნაწილი შეხვედრების შესახებ მათი დასრულების შემდეგ იგებდნენ. ეს სტრატეგია პანდემიის მიზეზით ახსნეს. ბოლნისში ოპოზიციურ პარტიებს აკრიტიკებენ იმის გამოც, რომ ისინი რეგიონში წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოების გახლეჩვის და დაპირისპირების დროს იშვიათად ჩანდნენ და ხშირად არც კი ცდილობდნენ საკუთარი მომხრეების დაცვას ან სიტუაციის მორიგებას, რათა ოპოზიციის მომხრეები არ დაზიანებულიყვნენ. ბოლნისის რეგიონში იმასაც აღნიშნავენ, რომ ორი კანდიდატი - მეშველიანის და ოქრიაშვილის მანქანების გარდა, ამ ორი პარტიის ან სხვა პარტიების ლიდერები ცენტრიდან ადგილზე არ ჩასულან, რაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ბოლნისი არავის აინტერესებდა. საინტერესოა, რომ ბოლნისშიც და მარნეულშიც ოპოზიციურ პარტიებს შორის ძირითადად მაინც ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიციის მუშაობის სტრატეგიებსა და მეთოდებზე საუბრობდნენ.

ზოგადად, ოპოზიციური პარტიების ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ სტრატეგიად მიჩნეულია ადგილზე რეგულარული წარმომადგენლობის არქონა. ამასთან, რესპონდენტები საუბრობენ ოპოზიციის მიერ არჩევნების შემდეგ ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების მართო დატოვების ფაქტებზე: „წინა არჩევნების შემდეგ ეს ხალხი მართო დარჩა ხელისუფლების წინაშე. საპარლამენტო არჩევნებამდე არავინ არ მოდიოდა და არ ეხმარებოდა ხალხს. არავინ არ მოდიოდა და არ იცავდა მათ უფლებებს. შესაბამისად, წელს ხალხი ოპოზიციასთან მიმართებაში დისტანცირებულნი იყო. არჩევნების დროს ოპოზიცია მოდიოდა გახსნიდა ოფისებს, არჩევნები დასრულდებოდა დახურავდნენ ოფისებს და მიდიოდნენ. ისინი არჩევნების შემდეგ არ იცავდნენ საკუთარ ამომრჩევლებს.“

ოპოზიციის მოუმზადებლობა

აქტივისტები ოპოზიციის მუშაობაში დიდ პრობლემად ასახელებენ ოპოზიციის მოუმზადებლობას. ერთ-ერთი ბოლნისელი აქტივისტი აღნიშნავს: „ველოდი, რომ ღონისძიებები გაიმართებოდა, დისკუსიები იქნებოდა, უფლებრივს საკითხებს განვიხილავდით. მეგონა ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების განწყობებს გამარჯვებისთვის გამოიყენებდნენ ოპოზიციური პარტიები, თუმცა მსგავსი არაფერი მომხდარა.“ მისი თქმით, ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს აზრების გასაცვლელი სივრცე არც კი ჰქონდათ. ის იხსენებს 2012 წლის არჩევნებს, როდესაც ქართული ოცნების ოპოზიციაში ყოფნის დროს ოპოზიციის ყველა მომხრე კარგად იყო მომზადებული პარტიის ხმების დასაცავად: „სოფლების კოორდინატორებმაც კი იცოდნენ უფლებები, ისიც იცოდნენ რა გახდებოდა სადაო და რა პუნქტები შეიძლება გამხდარიყო კამათის წყარო. სისუსტე რომ გამორიცხულიყო ყველამ ყველა დეტალი კარგად იცოდა. ამის ფონზე ახლა რომ ვხედავდი ოპოზიციის ასეთ მოუმზადებლობას ეჭვები მიჩნდებოდა, რომ მას არჩევნების მოგება არ სურდა.“ რამდენიმე რესპონდენტის დაკვირვებით ოპოზიციის კოორდინატორები და დამკვირვებლები სრულიად მოუმზადებლები იყვნენ, არ იცოდნენ უფლებები, კანონები და არ იცოდნენ რაზე გაემახვილებინათ ყურადღება. მეტიც, ზოგმა ადამიანმა წინა დღეს გაიგო, რომ არჩევნების დამკვირვებელი უნდა ყოფილიყო. ბოლნისის არჩევნების ერთ-ერთმა დამკვირვებელმა აღნიშნა, „საერთოდ არ ვიცოდი რამე მევალებოდა თუ არა. შესვლა და დაკვირვება რამდენიმე უბანზე შემძლო, მაგრამ თუ წინასწარი მომზადება არ გაიარე ვერაფერს შეცვლი. ვერაფერს შეცვლიდი, რადგან არ ვიცოდი რა ამესახა. გამოდიოდა, რომ უბრალოდ თამაში უნდა მეთამაშა. ეს იქნებოდა დაკვირვება დაკვირვებისთვის და არა დაკვირვება უფრო დიდი მიზნისთვის.“

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ბოლნისში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სტრატეგია დეზინფორმაციის გავრცელება იყო, რომელიც ეთნიკურობაზე უსვამდა ხაზს. როგორც გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატზე, ასევე მმართველი პარტიის კანდიდატზე ვრცელდებოდა ინფორმაცია სომხეთთან ფინანსური ან ნათესაობრივი კავშირის შესახებ. ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავების პარალელურად ამ სტრატეგიას ბოლნისში აქტიურად იყენებდნენ. ადგილობრივი აქტივისტების თქმით, პრობლემების განხილვის და მათი გადაჭრის გზების ძიების მაგივრად ყველა დეზინფორმაციის გავრცელებას ცდილობდა, რაც რეალური პოლიტიკის შექმნის, რეალური პრობლემების ამოტანის და მათი განხილვის შანსს სპობს.

ერთ-ერთმა ადგილობრივმა პოლიტიკოსმა ისაუბრა იმ მეთოდებზეც, რასაც ოპოზიცია რეგიონში არჩევნების მიღმა იყენებს და საკრებულოში ოპოზიციური პარტიის წევრად ყოფნის გამოცდილებაზე მოყვა. მისი თქმით, ხშირად გადაწყვეტილებების მიღებისას აქცენტი კეთდებოდა არა მაცხოვრებლების სურვილებზე, არამედ მმართველ პარტიასთან ოპოზიციის წინააღმდეგობაზე იმის მიუხედავად ხელისუფლების ინიციატივა ადამიანებისთვის კარგ შედეგს მოიტანდა თუ არა. „ქართული ოცნება თუ რამე გადაწყვეტილებას იღებდა, აუცილებლად იმის წინააღმდეგ უნდა მიმეცა ხმა. მაგრამ მე ვიყავი ხალხის წარმომადგენელი და ჩემთვის ეს მიუღებელი იყო ... პოლიტიკური პარტია გაძლევს მითითებებს. დავალებები ხშირად ცენტრალური ოფისიდან იყო მიღებული, რაც არაადეკვატური იყო და ჩემს მორალს ეწინააღმდეგებოდა. ეს კონსტრუქციული დიალოგის ადგილს არ ტოვებდა. არ ტოვებდა იმის შესაძლებლობას, რომ პრობლემებიდან გამოსავალი მოგვეჩვენა. პირიქით, პრობლემებს ვუქმნიდით მოსახლეობას,“ ამბობს ადგილობრივი პოლიტიკოსი. ის ასევე იხსენებს პარტიის დატოვების შემდეგ იმ წინეს, რომელიც მას შეექმნა. „ჩემი წარმოდგენით მე არ ვემსახურებოდი რომელიმე პარტიას, მე ვემსახურებოდი ჯგუფს, ამ შემთხვევაში ეთნიკურ უმცირესობებს და ვხვდებოდი, რომ ჩემი პარტია არაადეკვატური. მას შემდეგ რაც მერე მე წამოვედი, ძალიან დიდი აგრესია იყო ჩემს მიმართ. ამბობდნენ, რომ გაიყიდაო, მაგრამ დღესაც ჩემს საკითხებზე ვმუშაობ.“ პოლიტიკოსი ოპოზიციური პარტიის კანდიდატის მიუღებლობასაც უსვამს ხაზს: „მე მიხაროდა, რომ არ ვიყავი კახა ოქრიაშვილის მხადამჭერი არ ვიყავი. იმის გამო, რომ ოპოზიციურ პარტიას სჭირდებოდა დაფინანსება, თავის სიაში პირველ 15 კაცში ეს ადამიანი შეიყვანა. მაშინ მორალური მხარე სად არის ნაც.

მოდრაობის? ... მაშინ, როცა ოცნებამ დაიწყო ამ ზედმეტი ტალახის და ოდიოზური ფიგურების მოშურება, მაგალითად მკოიანის და ოქრიაშვილის სახით, ნაციონალურმა მოძრაობამ ოქრიაშვილი შემოიერთა. ის ადამიანები, რომლებმაც ჩააგდეს პროპორციული სისტემა თავის სიაში შეიყვანა ნაციონალურმა მოძრაობამ. ეს უკან გადადგმული ნაბიჯია.“ მის მონაყოლზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არჩევნების მიღმაც ოპოზიციის მიმართება ხელისუფლებასთან დაპირისპირებასა და კონფლიქტზე უფრო გადის და ოპოზიცია იშვიათად კონცენტრირდება მოსახლეობისთვის სიტუაციის გაუმჯობესებაზე.

კოორდინატორების სისტემა

აღსანიშნავია, რომ როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციურ პარტიებში ხმების მობილიზების ყველაზე ეფექტურ გზად კოორდინატორებთან და აგიტატორებთან მუშაობაა მიჩნეული. თუმცა, სამოქალაქო აქტივისტები პარტიების ამ სტრატეგიასთან დაკავშირებით კრიტიკულად არიან განწყობილნი. ერთ-ერთი სამოქალაქო აქტივისტი აცხადებს, რომ პარტიების მხრიდან ამ სისტემაში ჩართვაზე შემოთავაზების მიუხედავად, მან უარი განაცხადა ამ ფორმით მუშაობაზე. მისი აზრით, „კოორდინატორების როლი არის ის, რომ რაც შეიძლება მეტი ფული აიღონ“. ადგილობრივი პოლიტიკოსის აზრით, წინასაარჩევნოდ მომხრეების მობილიზება ძალიან ხელოვნური პროცესი იყო. აგიტატორებს გააზრებული არ ჰქონდათ პარტიის პოლიტიკა და დღის წესრიგი, შესაბამისად ფულის ნაცვლად მუშაობდნენ და დავალებების შესრულებაზე უფრო იყვნენ ორიენტირებულები.

კოორდინატორებს ხმების მობილიზება, პოსტერების გაკვრა, პარტიის იდეოლოგიის გავრცელება და ადამიანების უზნებამდე ტრანსპორტით გადაყვანა ევალებათ. ადგილობრივების თქმით, აგიტატორები და კოორდინატორები არიან ის ადამიანები, რომლებიც ადგილზე დეზინფორმაციას ავრცელებენ. დეზინფორმაციას ავრცელებს როგორც სახელისუფლებო პარტია, ასევე ოპოზიციური პარტიებიც. ქართული ოცნების ადგილობრივი აგიტატორების დიდი ნაწილი, როგორც ზევეითაც აღინიშნა, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და მასთან დაკავშირებულ აიპებსა და სსიპებში მუშაობს. ეს ადამიანები ამ საქმიანობაში საკუთარი სამუშაოების ან მცირე ტიპის ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ერთვებიან. თუმცა ადგილობრივების დაკვირვებით მმართველი ძალის და ოპოზიციის კოორდინატორები და აგიტატორები ძალიან ბევრნაირ ადამიანს მოიცავს - არიან როგორც კარგად გამოცდილი ადამიანები, ასევე ისინიც, ვინც წელს პირველად არიან არჩევნებში ჩართული. ეს ჯგუფი ყველა ასაკის ადამიანებს მოიცავს, ჩართულნი არიან როგორც კაცები, ასევე ქალები. ხშირად ამ ადამიანების მოტივაცია ფულის ან სამსახურის შოვნაა. ამას გარდა ამ პერიოდში ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებს ძალაუფლების შეგრძნებაც უჩნდებათ და მათ სხვები მოკრძალებით თუ შიშით უყურებენ, რაც ასევე ხდება არჩევნებში ჩართვის მოტივატორი.

რადგან პარტიების გათვლა ხშირად მხოლოდ კოორდინატორებზე კეთდება, რომლებიც თანხის სანაცვლოდ პარტიებს გარკვეული რაოდენობის ხმებს პირდებიან, ადგილობრივების თქმით, კოორდინატორი ხდება ის პირი, ვისთანაც ძირითადად პარტია ურთიერთობს. პარტიებს ხშირად მოსახლეობასთან ურთიერთობის ფორმები და აზრების გაცვლა აღარც აინტერესებთ და შესაბამისად, შინაარსისგან და ადამიანურობისგან ეს პროცესები ხშირად სრულიად დაცლილია. „აქ მაცხოვრებელი ადამიანები ინდივიდუალურად არც კი არსებობენ, ჩვენ ყველანი ციფრები ვართ მხოლოდ,“ აღნიშნავს ადგილობრივი აქტივისტი.

ზოგადად, ბოლნისში თვალშისაცემია დიდი უნდობლობა როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციური პარტიის მიმართ. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ ბოლნისში ჩნდება ეჭვები ოპოზიციის და მმართველი პარტიის გარიგების შესახებ, „კულისებს გარეთ მყოფი ადამიანები ვერ დავინახავდით რა იგემებოდა. ვფიქრობ, ამიტომაც არ დაიცვა ოპოზიციამ ხმები. ოპოზიციის პროტესტიც წინასწარ დაგეგმილი დადგმა მგონია. ვიდაცის ოთახში შეთანხმებულ გეგმას ეწირება ჩვეულებრივი ადამიანების ჯანმრთელობა.“ რეგიონში ზოგიერთ ადამიანს გადაულახავი უნდობლობა გაუჩნდა არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ოპოზიციური პარტიის მიმართაც.

ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთი კოორდინატორი კოორდინატორების ფუნქციას და ოპოზიციის მუშაობას სხვაგვარად ხატავს. ოპოზიციის კოორდინატორის მიხედვით, „სადაც არ არის ოპოზიციური პარტია. იქ უსამართლოებები იზრდება. მე ოპოზიციური ადამიანი ვარ. ხალხს ვუხსნი კანონმდებლობით რისი მოთხოვნა შეუძლია, რომ საკუთარი აზრის გამოხატვა შეუძლია. მე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ვარ და უსამართლო პროცესების შესახებ ვუხსნი ხალხს. ვამბობ რომ ეს და ეს რომ დაგემართა ეგ უსამართლობაა და ასე არ უნდა ხდებოდეს.“ აღსანიშნავია, რომ ოპოზიციის კოორდინატორი საკუთარ თავს არა კოორდინატორს, არამედ ლიდერს უწოდებს. ამასთანავე, ის აღიარებს, რომ არიან ადამიანები რომლებიც უბრალოდ ფულისთვის იღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში: „არის კოორდინატორი, ვინც ფულისთვის მუშაობს, მაგრამ არიან სხვანაირი ადამიანებიც. ჩვენთან იყო ერთი კოორდინატორი, რომელმაც საკუთარი ხელფასი დაახარჯა ღარიბ ხალხს. არიან ღირსეულნი, არიან უღირსნი.“ მისი აზრით, თავისი პარტია კოორდინატორებზე ზრუნავს: „პარტიები ჩვენზე ზრუნავენ, მე მაღლობელი ვარ ჩემი პარტიის. მიმაჩნია, რომ პოლიტიკაში ადამიანის გაკეთებული საქმე უკეთესად იქნება, თუ მმართველი გუნდის წარმომადგენელი ძალადობას აღარ მიმართავს და ადამიანების პრობლემების მოგვარებაზე იქნება ორიენტირებული. მე ჯერ ხალხის პრობლემებს მოვაგვარებდი და მერე არ დამჭირებოდა არც აგიტაციის გამართვა და არც არაფერი. მე ასე წავიყვანდი საარჩევნო პროცესს. მაგრამ თუ სახელმწიფო კარებს ჩაურაზავს მოსახლეობას, მოსახლეობა დაიწყებს სხვა გამოსავლის ძებნას.“

არჩევნების დროს ფულის აღების შემთხვევებზე რეგიონში საყოველთაოდ ცნობილია. ფულის სანაცვლოდ ხმის მიცემის სანდობა სხვადასხვა მეთოდებით მოწმდება. მაგალითად, ადამიანებს ევალებათ შემოხაზული ბიულეტენის შეტანა და ახალი, ცარიელი ბიულეტენის გამოტანა ან ბიულეტენზე სპეციალური ნიშნის დასმა, ესენი რესპონდენტებისთვის ცნობილი ყველაზე გავრცელებული პრაქტიკებია. ზოგიერთი რესპონდენტი დაკვირვებით, როგორც წესი, ფული არჩევნების დღეს არ რიგდება. ის რიგდება ან არჩევნებამდე ან არჩევნების შემდეგ, რათა გაძლიერებული დაკვირვების პროცესში ფულის დარიგების პროცესი თვალში არავის მოხვდეს.

მოსახლეობის მიერ ფულის აღების მიზეზებზე ინფორმანტებს სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ. პირველ რიგში, ისინი ერთხმად საუბრობენ გაჭირვებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრობენ და ამბობენ, რომ ის ადამიანები თანხმდებიან ფულის აღებას, ვისთვისაც 20 ან 50 ლარი მართლა მნიშვნელოვანია. „ადამიანები გაჭირვებულები არიან. აქ არც რაიმე საწარმოა, შემოსავალიც ნორმალური არაა. ადრე თუ ერთი ხმა 10-20 ლარი იყო, თითო ხმა ახლა სერიოზული თანხაა, ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს 80 ლარი, 75 ლარი, 100 ლარიც კი. ეს კი სოფლის მაცხოვრებლებისთვის საკმაოდ სერიოზული თანხაა. თან გასათვალისწინებელია, რომ ადამიანები არ ფიქრობენ და არ სჯერათ, რომ მათი ხმა გადამწყვეტია,“ ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი. საინტერესოა, რომ ფულს ისინიც იღებენ, ვინც ხმას ისედაც კონკრეტულ პარტიას აძლევდა, რადგან ეს მათთვის ე.წ. „უფასო ფულია.“ ფული ხშირად მათი მოტივატორიც არის, ვინც არჩევნებზე წასვლას სრულიად არ აპირებდა.

აქტივისტები და ჟურნალისტები საუბრობენ, რომ ფულის აღების მიზეზი ადამიანებში გავრცელებული უიმედობის განცდაც არის. ადგილობრივების თქმით, სიტუაცია ათწლეულების მანძილზე იმდენად უცვლელია და ადამიანები საკუთარ თავზე ცვლილებას ვერ გრძნობენ, რომ ადგილობრივები არჩევნებს საერთოდ არ უკავშირებენ უკეთესი მომავლის არჩევის შესაძლებლობას. რადგან ადამიანებს არ აქვთ განცდა, რომ არჩევნებით რამე შეიცვლება, ფიქრობენ, ინდივიდუალურად მაინც ისარგებლონ არჩევნების პროცესით.

ფულის შეთავაზების პრაქტიკა არა მხოლოდ მმართველი ძალის, არამედ ოპოზიციის მუშაობის სტრატეგიაშიც იკვეთება. ბოლნისელი სამოქალაქო აქტივისტი აცხადებს, რომ მათ შორის მის სოფელში იყო ადამიანი, რომელიც აქამდე ოცნებასთან თანამშრომლობდა, თუმცა ამ არჩევნებზე კახა ოქრიაშვილს უჭერდა მხარს, რადგან სერიოზული ფინანსური სარგებელი მიიღო. მისი განცხადებით: „ოპოზიციასთან ფულის გამო მუშაობდნენ იმიტომ, რომ კახა ოქრიაშვილი ბიძინას შემდეგ მეორე მდიდარი ადამიანია საქართველოში და ფულს არიგებდა.“ ამ მოსაზრებას იზიარებს ადგილობრივი

პოლიტიკოსი: „არიან ადამიანები რომელსაც აჩუქეს ავტომობილი, ზოგს ყოველ მესამე დღეს ჰქონდა 1000 ლარი, ბანკის კრედიტი დაუფარეს, ტელეფონი, ტელევიზორი აჩუქეს.“ თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს გაერთიანებული ოპოზიციის კოორდინატორს. „ჩვენ პარტიას ფული კი არ აქვს, რომ ხალხს დაურიგოს. ჩემი თვალით არ მინახავს, რომ ფულს იხდიან, არც ჩვენ გაგვიკეთებია, და არც სხვისგან გვინახავს. უფრო მეტიც, არიან ისეთი ხალხიც აქედან ხელფასს იღებდნენ და გაჭირვებულებს ეხმარებოდნენ.“

არჩევნების შემდეგ

აქტივისტების აზრით, არჩევნების დასრულების შემდეგ მოსახლეობის ცხოვრებაში განსაკუთრებული ცვლილებები არ ვლინდება. თუმცა საარჩევნო პროცესებში მომხდარი დაპირისპირებები და წინააღმდეგობები თემის ცხოვრებაში მნიშვნელოვან კვალს ტოვებს. ხშირია შემთხვევები, როცა გამარჯვებული პარტიის წარმომადგენლები აგრძელებენ ზეწოლას მოსახლეობაზე და ცდილობენ ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის დასჯას. ხშირ შემთხვევაში დამარცხებული პარტია არ იცავს მის მხარდამჭერებს. ერთი ერთი აქტივისტი იხსენებს, რომ „ერთ მოხუც ადამიანს შევხვდი, რომელმაც წინა არჩევნებზე დაუპირისპირდა ხელისუფლებას. არჩევნების შემდეგ ამ ადამიანთან მოვიდა ხელისუფლების ხალხი და აშინებდნენ. ეუბნებოდნენ, რომ პენსიონერია და მათ ჰქონდათ შესაძლებლობა მისთვის პენსია მოეხსნათ. ვკითხე ვინმე თუ დაეხმარა იმ პარტიიდან, ვისაც მხარს უჭერდა. მითხრა, რომ არავინ არ დახმარებია. წინასაარჩევნოდ შეიძლება იცავდნენ ადამიანებს ოპოზიციონერები, მაგრამ არჩევნების შემდეგ ზუსტად ვიცი, რომ მოსახლეობას არავინ არ იცავს.“ სწორედ ეს პროცესია ყველაზე მწვავედ გაკრიტიკებული სამოქალაქო აქტივისტების მხრიდან. „არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ნახიდურში (არახლო) მოხდა დაპირისპირება და ოპოზიციის კანდიდატიც იქ მივიდა. მაგრამ არჩევნების შემდეგ ესეთი რამ თუ იქნება არ ვიცი,“ ამბობს ადგილობრივი. რესპონდენტები ხელისუფლებისგან ასევე ვერ ხედავენ თავის მომხრეებთან კომუნიკაციის სურვილს, სანამ არჩევნები არ მოახლოვდება.

ბოლნისელი აქტივისტები ფიქრობენ, რომ არჩევნების შემდგომ რამდენიმე წლის მანძილზე რეგიონში ოპოზიციური ძალის ოფისების და წარმომადგენლების გაუჩინარება ხელს უწყობს ოპოზიციის და ოპოზიციური აზრის დასუსტებას. ხშირია მათი აგიტატორების მოსყიდვის შემთხვევები ფულით ან სამსახურის დაპირებით, რადგან რეგიონში ბევრი ადამიანი ღარიბია და ფული სჭირდება. ხოლო დანარჩენ მომხრეებზე ზეწოლის შემთხვევები იშვიათი არ არის. ადგილობრივებს აქვთ განცდა, რომ ხშირად აგიტატორები და ოპოზიციურად განწყობილი პირები სხვადასხვა ფორმით იჩაგრებიან. მაცხოვრებლებისთვის გასაგებია, რომ ოპოზიციას ლიმიტირებული ფინანსური რესურსები აქვს, თუმცა ერთ-ერთი ბოლნისელი აქტივისტი აღნიშნავს, რომ არჩევნების დროს ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების ხმების დაცვა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ოპოზიციისგან, თუმცა ბოლნისში ამის მცდელობა ვერ დაინახა. ოპოზიციური პარტიის კოორდინატორი აცხადებს, რომ წინა არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პარტიების ლიდერები დაიკარგნენ მათი რეგიონიდან: „2016 წელს თავი შევწირეთ პოლიტიკოსებს, მაგრამ 2016-ის მერე პოლიტიკოსები დაიკარგნენ. ახლა 2020 წელია და ახლა ისევ მოვიდნენ, მაგრამ იმედი მაქვს ჩვენთან კავშირებს არ გაწყვეტენ. წინ ხომ ადგილობრივი არჩევნებია. ღმერთის დახმარებით, იმედია არ გაწყვეტენ ურთიერთობას და წინა არჩევნებთან შედარებით უფრო ახლოს იმუშავებენ ჩვენთან,“ ამბობს იგი.

ადგილობრივები ფიქრობენ, რომ ბოლნისის რეგიონში ხშირად არავინ რჩება, ვინც ბოლომდე იბრძოლებს ოპოზიციური აზრისთვის და საბოლოოდ ყველა სუსტდება. აქტივისტების აზრით, ხშირად შერჩევითი ჯარიმებიც კი გამოიყენება სხვადასხვა ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების დასჯისთვის. ეს ადამიანები შეიძლება სხვადასხვა კანონს არღვევდნენ (მაგალითად, ნიღბის წესების დაუცველობა), მაგრამ მათი დაჯარიმებისთვის ეს მხოლოდ საბაზს წარმოადგენს. აქტივისტები ფიქრობენ, რომ ეს გამაფრთხილებელი სიგნალი უფროა, რათა კრიტიკულად განწყობილი ადამიანები გააჩუმონ. ოპოზიციურად განწყობილი ადამიანებს არჩევნების შემდგომ პერიოდში ადგილზე ბევრი

პრობლემა ექმნებათ. რესპონდენტების შეფასებით, ბოლნისსა და მარნეულში კრიტიკული ან/და ოპოზიციური განწყობების ქონა ხანდახან მიჩნეულია დანაშაულად და ოპოზიციური პარტიის კოორდინატორი თქმით, „მოსახლეობაში სპეციალურად იქმნება განწყობა, რომ მმართველ პარტიას უნდა დაუჭირონ მხარი და რომ ოპოზიციონერობა დანაშაულია.“

რესპონდენტების თქმით, ხანდახან ოპოზიციური აზრის გამო ადამიანები და მათი ოჯახები საჯარო შეურაცხყოფის, გარიყვის მსხვერპლი ხდებიან ან მათგან მტრის ხატიც შეიძლება შეიქმნას. აქტივისტების დაკვირვებით, ზეწოლა ხანდახან იმხელაა, რომ ადამიანები იძულებულიები ხდებიან დატოვონ სოფლები და რეგიონები. ზოგი სხვა ქალაქებში მიდის, ზოგი - ქვეყნიდან გადის. რამდენიმე აქტივისტი აღნიშნავს, რომ ქართული ოცნების მხარდამჭერები რეგიონში გავლენიანი ადამიანები ხდებიან, ან არსებულ გავლენას ინარჩუნებენ. „[ზოგიერთ მათგანს] დაუსჯელობის სინდრომი აქვს და ამის გამო იოლად შეუძლიათ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების თუ ოჯახების შეურაცხყოფა, დაცინვა, დაშინება, ფიზიკურად დაპირისპირებაც კი,“ ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი. მისი თქმით, პოლიციაში მიმართვის დროს ხანდახან გამოძიებაც კი არ იწყება. რადგან სახელმწიფო ადამიანებს ვერ თუ არ იცავს და არც ოპოზიციის მხარდაჭერის იმედი აქვთ, ადამიანები საკუთარი რესურსებით ცდილობენ დამცირებასთან გამკლავებას, რაც ადგილზე ბევრ კონფლიქტს წარმოშობს. აქტივისტებმა გაიხსენეს შემთხვევა, როცა ორი ასაკოვანი ადამიანი, ერთმანეთის ნათესავები დაუპირისპირდნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ ერთმანეთს. აქტივისტი აცხადებს, რომ „ამ კანდიდატებისთვის ჩხუბი კი არა, ხმის მიცემაც კი არ ღირს იმიტომ, რომ არ არის ცვლილების პერსპექტივა და არ გვაქვს იმედი, რომ რამეს გააკეთებენ.“ რამდენიმე რესპონდენტის თქმით, სინამდვილეში სხვაობა არ არსებობს დაპირისპირებულ პარტიებს შორის. ერთ-ერთი რესპონდენტის ნათქვამში ისიც იკითხება, რომ სინამდვილეში დაპირისპირებული მხარეები ოპოზიციის და მმართველი ძალა და მათი მომხრეები კი არ არიან, არამედ მმართველი პარტია და ოპოზიცია ერთ მხარესაა და ჩვეულებრივი ამომრჩევლები მარტო რჩებიან.

დასკვნა

არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებით დასახლებული რეგიონები, ისტორიულად, მმართველი პარტიების მხარდამჭერ სივრცეებად იყო მონიშნული. ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული სიტუაცია მკვეთრად იცვლება, რაც არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებში სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერებით და პოლიტიკაში და საჯარო ცხოვრებაში მათი ჩართვის სურვილით აიხსნება. თუმცა რთულია იმის თქმა, რომ პოლიტიკური აქტორები რეალურად იხელთებენ და იაზრებენ ამ ისტორიულ მოცემულობას. ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკურ აქტორებმა თემზე ორიენტირებული და ტრანზფორმაციული პოლიტიკები გაატარონ ადგილებზე, ისინი კონტროლის, დეჰუმანიზებისა და დაჯილდოების კვლავ მოძველებულ სტრატეგიებსა და მიდგომებს იყენებენ.

ხელისუფლება აგრძელებს და ავითარებს გამოცდილი მეთოდებით და პრაქტიკებით მუშაობას, სადაც მისი ძირითადი საყრდენი სუს-ი, ადმინისტრაციული რესურსები, საჯარო სამსახური და ზოგიერთ შემთხვევაში კრიმინალური სამყაროს წევრები არიან. კვლავ შესამჩნევი ჩნდება, რომ მმართველი პოლიტიკური გუნდი სახელმწიფოსა და პარტიის ინტერესებსა და ბუნების გამოიჯვანას არ ახდენს და სახელმწიფოს ფინანსურ თუ მაკონტროლებელ რესურსებს ვიწრო პარტიული მიზნებისთვის იყენებს, რაც პარტია-სახელმწიფო მანქანას ამყარებს და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოებრივ ნდობას ამცირებს. არაპროგრესულია ოპოზიციური პარტიების სტრატეგიებიც. ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან ღია და დემოკრატიული კომუნიკაციისა და რეალურ საჭიროებებზე დაფუძნებული დრის წესრიგის ნაცვლად, საკუთარ სტრატეგიებს და მეთოდებს კოორდინატორების და აგიტატორების მოძველებულ სისტემაზე აგებენ. შედეგად, სამოქალაქო აქტივისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არჩევნების და პოლიტიკური პროცესების მიმართ გულგრილობის ზრდა თვალშისაცემი ხდება. ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პოლიტიკური პარტიების და პარტიული ელიტების მიერ ამომრჩევლების გასაგნება და „საარჩევნო ობიექტად“ დანახვა პრობლემურად არის

აღქმული სამოქალაქო აქტივისტებს შორის, რომელთა კრიტიკული ხმა მკვეთრად ბიპოლარულ პოლიტიკურ ველში იკარგება.

პოლიტიკური პროცესები რეგიონებში არსებითად დაცლილია შინაარსისგან, იდეებისგან, იდეოლოგიური ჩარჩოებისგან და ოპონენტები ერთმანეთზე პრიმიტიული მორალური განსჯისა და დაშინების სტრატეგიებს უფრო იყენებენ. ეს სტრატეგია მოქალაქეების პოლიტიკური იზოლაციასა და გულგრილობას აღრმავებს. არჩევნები არსებითად ბაზრის ლოგიკით არის დანახული, სადაც ადამიანის ხმას აქვს მხოლოდ რაოდენობრივი და არა პოლიტიკური ან მორალური ფასი. სწორედ ამგვარი პოლიტიკის სტრუქტურები განაპირობებს, ხმის გაყიდვის თუ გაცვლის პრაქტიკას, რომელიც შემდეგ ისევ ღარიბ და უიმედოდ დარჩენილ მოსახლეობას და მათ კულტურას ბრალდება.

არჩევნებამდე რეგიონებში და განსაკუთრებით არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებით კომპაქტურად და ტრადიციულად დასახლებულ რეგიონში პოლიტიკა გამჭრალია. პოლიტიკური პროცესები არჩევნების დროს აქტიურდება, თუმცა მისი ლოგიკა და მაჯოდობებული წრე მოსახლეობის უნდობლობას როგორც არჩევნების, ასევე არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა აქტორების მიმართ აღრმავებს. არჩევნები და საარჩევნო პროცესები ბოლნისის და მარნეულის მოსახლეობაში, უმეტესად, ტრამვატულ გამოცდილებებს და განცდებს ტოვებს. ცენტრში მკვეთრად პოლარიზებული პოლიტიკური გარემო ადგილებზე კიდევ უფრო მძიმე კვალს ტოვებს და არჩევნების შემდეგ ერთი თემის, სოფლის, გვარის შიგნით გაჩენილი კონფლიქტებისა და დაყოფის მოგვარებაზე არავინ ფიქრობს. ხშირია, შემთხვევები, როცა კრიტიკულად და ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეები გამარჯვებული სისტემის წინაშე მარტოდ რჩებიან და ირჩევენ ან გაჩუმებას ან გარიდებას. ეს გამოცდილება პოლიტიკური თავისუფლებისა და ავტონომიის სფეროს არსებითად ზღუდავს და დამთრგუნელი ეფექტი აქვს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ საფრთხის გამო საკუთარ პრობლემებზე საუბრისგანაც თავს იკავებს, რაც მათ რეალობას ცვლილებების და სიახლეების მიმართ ჩაკეტილს ქმნის ადამიანებს პოლიტიკური სისტემა და წესრიგი ვერ სთავაზობს გამოსავალს და არსებული უკმაყოფილების და კრიტიკის გამოსახატად გზებს არ უტოვებს.

დარწმუნებულები ვართ, რომ მსგავსი პრაქტიკები და გამოცდილებები არ არის დამახასიათებელი მხოლოდ მარნეულისა და ბოლნისისთვის და ადამიანების ინსტრუმენტალიზების, პოლიტიკის შინაარსისგან და მონაწილეობისგან დაცლის ტენდენციები საქართველოს სხვა რეგიონებშიც გვხვდება. არჩევნებზე მომუშავე ორგანიზაციების ანგარიშები და შეფასებები ამ ტენდენციების არსებობაზე ასევე უსვამენ ხაზს. ცხადია, რომ ამგვარი გამოცდილება პოლიტიკისა და დემოკრატიული პროცესების მიმართ საზოგადოებრივ ნდობას ამცირებს და სოციალურ ფრუსტრაციების მიზეზი ხდება. სამწუხაროა, რომ პოლიტიკური აქტორები ამ პასუხისმგებლობას სათანადოდ არ იაზრებენ და საკუთარი სამუშაო სტრატეგიებით და ტაქტიკებით არადემოკრატიული და ანტისოციალური პრაქტიკების კვალწარმოებას უწყობენ ხელს.

იმედი გვაქვს, რომ წარმოდგენილი ანალიზი, რომლის მიზანი წინასაარჩევნო პროცესების ადგილობრივი გავლენებისა და სოციალური კვალის ჩვენება და პოლიტიკური აქტორების მუშაობის გაშიშვლება იყო, პოლიტიკურ აქტორებს დააფიქრებს და უბიძგებს საკუთარი გამოცდილებების რევიზიისკენ.